ნომერი: 12-01193303093-60
თარიღი: 26.11.2019 18:08
ვადა: 26.12.2019

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 10-01193301178 განცხადების თარიღი: 26.11.2019
ხელმომწერი: თანამდებობა:

განცხადება/ნომენკლატურა

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
თავისუფალი განცხადება/წერილი

მოთხოვნის ტექსტი

გზავნილი ნათია წელაურის, ივანე აბრამიძის, კოკა კალანდაძის, ლევან კომახიძის და სხვა საჩივარზე ბრძ 1845

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
№ 12-01193303093-60
26.11.2019 : 18:08
ქ. თბილისი 0160, გ.შარტავას ქ. N7

წერილის ნომერი: **10-01193301178**
თარიღი: **26/11/2019**
პინი: **8320**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

გ ზ ა ვ ნ ი ლ ი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, გიგზავნით 2019 წლის 17 ოქტომბერს ნათია წელაურის, ივანე აბრამიძის, კოკა კალანდაძის, ლევან კომახიძის და სხვათა მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილ №19/01192902971-01 ადმინისტრაციული საჩივართან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის 2019 წლის 26 ნოემბრის №1845 ბრძანების სახით.

დანართი: 12 (თორმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნატო ნათენაძე

იურიდიული საქალაქო სამსახური-
ადმინისტრაციული დავების განხილვისა და სამართლებრივი აქტების მომზადების განყოფილება-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

1845

ბრძანება №_____

"26" ნოემბერი 2019 წ.

ნათია წელაურის, ივანე აბრამიძის, კოკა კალანდაძის,
ლევან კომახიძის და სხვათა ადმინისტრაციული
საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე

2019 წლის 17 ოქტომბერს ნათია წელაურმა, ივანე აბრამიძემ, კოკა კალანდაძემ, ლევან კომახიძემ და სხვებმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგინეს №19/01192902971-01 ადმინისტრაციული საჩივარი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის (შემდგომში - „არქიტექტურის სამსახური") 2018 წლის 22 მაისის №3973599 და 2018 წლის 28 დეკემბრის №4323317 ბრძანებების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე და 181-ე მუხლებთან შესაბამისობის შემოწმების შემდეგ, ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილა წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად, ადმინისტრაციულ საჩივარზე გარემოებათა გამოკვლევისა და დაინტერესებულ მხარეთა მიერ მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით, საკითხთან დაკავშირებით 2019 წლის 1 ნოემბერს და 2019 წლის 15 ნოემბერს გაიმართა ზეპირი მოსმენის სხდომები, რომლებზეც გამოცხადდნენ: საჩივრის ავტორი, როინ ვარშანიძე და საჩივრის ავტორის, ნათია წელაურის წარმომადგენელი, ემზარ პაქსაძე, ასევე, მოწინააღმდეგე მხარის, არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი, სალომე არჩვაძე. რაც შეეხება დაინტერესებულ მხარეებს, მიუხედავად იმისა, რომ გურამ გურამიშვილს და იბა „ახალი ბაგების" თავმჯდომარეს, მერაბ ჯანელიძეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაეგზავნათ შეტყობინება ზეპირი მოსმენის სხდომების თაობაზე, ისინი აღნიშნულ სხდომებზე არ გამოცხადნენ, რაც არ წარმოადგენს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის დამაბრკოლებელ გარემოებას.

წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარში აღნიშნულია, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტები გამოცემულია

ქ. თბილისი. 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

საქმისათვის არსებითი მნიშვნელოვნის მქონე გარემოებათა გამოკვლევის გარეშე, რის გამოც არსებობს მათი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში გამართულ ზეპირი მოსმენის სხდომაზე საჩივრის ავტორი და საჩივრის ავტორის წარმომადგენელი დაეთანხმნენ წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარს და მოითხოვეს მისი დაკმაყოფილება.

მოწინააღმდეგე მხარის, არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი არ დაეთანხმა წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარს და განმარტა, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტები კანონიერია, რის გამოც არ არსებობს მათი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

მოცემულ საქმეზე დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების მოსმენის, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების, წარმოდგენილი საქმის მასალების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად გამოკვლევის შემდეგ, ადმინისტრაციული ორგანო მივიდა დასკვნამდე, რომ ნათია წელაურის, ივანე აბრამიძის, კოკა კალანდაძის, ლევან კომახიძის და სხვათა ადმინისტრაციული საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილების შემდეგ გარემოებათა გამო:

უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის (შემდგომში - „ურბანული დაგეგმარების სამსახური“) 2006 წლის 21 დეკემბრის №ჯოლ-1/243 ბრძანებით ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი, II ჩიხი, №1 და №3-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

ასევე უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ არქიტექტურის სამსახურის 2008 წლის 17 დეკემბრის №01/1802 ბრძანებით ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, II ჩიხი, №1 და №3, (ნაკვეთი №5/42), 01.14.08.005.042 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

უდავო გარემოებაა, რომ არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 10 თებერვლის №6/424 ბრძანებით ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, II ჩიხი, №1 და №3, (ნაკვეთი №5/42), 01.14.08.005.042 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გაიცა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა.

ასევე უდავო გარემოებაა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2013 წლის 27 მარტის სხდომიდან №601293 ამონაწერით დადებითი შეფასება მიეცა ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, II ჩიხი №1 და №3, (ნაკვეთი №5/42), 01.14.08.005 042 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას.

უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 2 აპრილის №617 განკარგულებით ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, II ჩიხის №1 და №3-ში,

(ნაკვეთი №5/42), 01.14.08.005.042 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის მიზნით გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხება, კერძოდ, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტად (კ2) განისაზღვრა 4.1.

ასევე უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 29 მაისის №1296241 ბრძანებით ცვლილება შევიდა ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2006 წლის 21 დეკემბრის №კოლ-1/243 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ, დაემატა ახალი საკადასტრო კოდი 01.14.08.005.040.

უდავო გარემოებაა, რომ არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 29 ივლისის №1411373 ბრძანებით დაკმაყოფილდა გურამ გურამიშვილის 2013 წლის 13 აგვისტოს №AR1127086 განცხადება და ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, II ჩიხი, №5, (ნაკვეთი №5/40), 01.14.08.005.040 და ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, II ჩიხი, №1 და №3, (ნაკვეთი №5/42), 01.14.08.005.042 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. ამავე ბრძანებით მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 29 ივლისიდან 2015 წლის 29 ნოემბრის ჩათვლით.

ასევე უდავო გარემოებაა, რომ არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 22 მაისის №3973599 ბრძანებით დაკმაყოფილდა გურამ გურამიშვილის 2018 წლის 2 მაისის №AR1597928 განცხადება და ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, II ჩიხი, №5, (ნაკვეთი №5/40), 01.14.08.005.040 და ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, II ჩიხი, №1 და №3, (ნაკვეთი №5/42), 01.14.08.005.042 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის გამო, გაიცა ახალი მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის საწებართვო მოწმობა. ამავე ბრძანებით მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 22 მაისიდან 2019 წლის 22 აგვისტოს ჩათვლით.

უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 28 დეკემბრის №4323317 ბრძანებით დაკმაყოფილდა გურამ გურამიშვილის 2018 წლის 12 ოქტომბრის №AR1633597 განცხადება და ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, II ჩიხი, №5, (ნაკვეთი №5/40), 01.14.08.005.040 და ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, II ჩიხი, №1 და №3, (ნაკვეთი №5/42), 01.14.08.005.042 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. ამავე ბრძანებით მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 28 დეკემბრიდან 2020 წლის 28 ივნისის ჩათვლით.

საჯარო რეესტრის 2017 წლის 18 ოქტომბრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია №882017978624) თანახმად, ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, II ჩიხი, №5, (ნაკვეთი

№5/40), 01.14.08.005.040 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს გურამ გურამიშვილი.

საჯარო რეესტრის 2018 წლის 25 იანვრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია №892018060433) თანახმად, ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, II ჩიხი, №1 და №3, (ნაკვეთი №5/42), 01.14.08.005.042 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთის თანამესაკუთრეს წარმოადგენს იბა. „ახალი ბაგები".

საქმის მასალებში წარმოდგენილია არქიტექტურის სამსახურის III და IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის 2019 წლის 2 ოქტომბრის წერილობითი განმარტება, რომლითაც დგინდება, რომ არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 28 დეკემბრის №4323317 ბრძანებით ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, II ჩიხი, №5, (ნაკვეთი №5/40), 01.14.08.005.040 და ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, II ჩიხი, №1 და №3, (ნაკვეთი №5/42), 01.14.08.005.042 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის კორექტირება მოიცავდა საპროექტო ობიექტის ორივე ბლოკს. კერძოდ, პირველ ბლოკს დაემატა ერთი სართული: +33.00 ნიშნულზე დაპროექტებული გათბობისა და ცხელი წყლის საქვაბემ გადაინაცვლა +36.30 ნიშნულზე, ხოლო +33.00 ნიშნულზე მოეწყო 2.20 მეტრი სიმაღლის არასრული სართული; მეორე ბლოკს დაემატა ერთი სართული: +16.50 ნიშნულზე ერთი ბინის ნაცვლად მოეწყო 3 ბინა და +19.80 ნიშნულზე ტერასის ნაცვლად მოეწყო ერთი ბინა, ხოლო ტერასამ გადაინაცვლა +23.10 ნიშნულზე.

საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო მიუთითებს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების (შემდგომში - „№57 დადგენილება") 99-ე მუხლის პირველი პუნქტზე, რომლის თანახმად, „იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა - ნაგებობა არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა, გარდა ამ დადგენილების 33-ე, 47-ე , 53-ე, 61-ე, 65-ე, 69-ე, 73-ე, 77-ე, 83-ე და 94[1] მუხლებისა."

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ზემოაღნიშნულ ნორმაზე მითითებით განმარტავს, რომ იმ პირობებში, როდესაც, მოცემულ შემთხვევაში, არქიტექტურის სამსახურის სადავო ბრძანებებს საფუძვლად უდევს ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2006 წლის 21 დეკემბრის №კოლ-1/243 ბრძანება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე, წარსახიერველი სამართალურთიერთობისა და სადავოდ გამხდარი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესაფასებლად გამოყენებულ უნდა იქნას „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილება (შემდგომში - „№140 დადგენილება").

№140 დადგენილების 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია ამ დადგენილების შესაბამისად გაცემული მშენებლობის ნებართვა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამი სტადიით, გარდა განსაზღვრული გამონაკლისებისა, ამ დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად. აღნიშნული სტადიებია: ა) I სტადია – ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენა (შემდგომში სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დამტკიცება); ბ) II სტადია – არქიტექტურული დოკუმენტის პროექტის, კონსტრუქციული სქემის ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება; გ) III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა.“

განსახილველ შემთხვევაში, წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრით სადავოდ გამხდარ ერთ-ერთ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენს არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 22 მაისის №3973599 ბრძანება, რომლითაც ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, II ჩიხი, №5, (ნაკვეთი №5/40), 01.14.08.005.040 და ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, II ჩიხი, №1 და №3, (ნაკვეთი №5/42), 01.14.08.005.042 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის გამო, გაიცა ახალი ნებართვა.

№140 დადგენილების 53-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო ობიექტზე არ არის განხორციელებული ისეთი სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც ამ დადგენილების 67-ე მუხლის შესაბამისად საჭიროებენ მშენებლობის ახალ ნებართვას.“ ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, „მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გადაცილება, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირობისა არის სანებართვო პირობების დარღვევა და საჭიროებს ახალ მშენებლობის ნებართვას, რისთვისაც, იმ შემთხვევაში, თუ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოები, ამ დადგენილების შესაბამისად არ წარმოადგენს რეკონსტრუქციას, მაშინ მშენებლობის განხორციელების დოკუმენტებს უნდა დაემატოს დარჩენილი სამუშაოების მშენებლობის ორგანიზების პროექტი და მშენებლობის დასამთავრებლად მოთხოვნილი გონივრული ვადა.“

ზემოაღნიშნული ნორმების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ თუ მშენებლობა არ დასრულდა მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში, დაუშვებელია მშენებლობის ვადის გაგრძელება. ასეთ შემთხვევაში, არქიტექტურის სამსახური მშენებლობის ნებართვის გაცემის III სტადიისათვის დადგენილი წესის შესაბამისად, სამუშაოთა წარმოების ახალი გრაფიკის საფუძველზე გასცემს მშენებლობის ახალ ნებართვას.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან, არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 29 ივლისის №1411373 ბრძანებით გაცემული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა ამოიწურა 2015 წლის 29 ოქტომბერს, ხოლო გურამ გურამიშვილის მიერ №AR1597928 განცხადება ამავე სამსახურში წარდგენილ იქნა

2018 წლის 2 მაისს, აღნიშნული განცხადება კანონშესაბამისად იქნა განხილული მშენებლობის ახალი ნებართვის გაცემისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო მიუთითებს №140 დადგენილების 59-ე მუხლის პირველი პუნქტზე, რომლის მიხედვით, „დამკვეთი მშენებლობის ნებართვის მისაღებად მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგენს განცხადებას, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს," ხოლო ამავე დადგენილების 46-ე მუხლის პირველ პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მიხედვით, „დამკვეთისათვის სავალდებულო საექსპერტო შეფასებას ექვემდებარება ამ დადგენილებით განსაზღვრული: IV კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემდეგი ნაწილები: ა.ა) საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება; ა.ბ) ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება."

№140 დადგენილების მე-60 მუხლის „ზ" პუნქტის თანახმად, „შენობა-ნაგებობებისათვის მშენებლობის ნებართვის გაცემა და ვარგისად აღიარება რეგულირდება ამ დადგენილების შესაბამისად განსაზღვრული შენობა-ნაგებობების მშენებლობის ნებართვის გაცემისა და ვარგისად აღიარების რეგულირების კლასების მიხედვით, ამ მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად: ზ) 4A – მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების, სამშენებლო დოკუმენტის პროექტისა და სათანადო საექსპერტო დასკვნის საფუძველზე. შენობა-ნაგებობის ვარგისად აღიარება ხდება სანებართვო პირობების შესაბამისად." ამავე დადგენილების 39-ე მუხლის მეორე პუნქტი კი ამომწურავად განსაზღვრავს იმ დოკუმენტების ნუსხას, რომელსაც IV კლასის შენობა-ნაგებობების სამშენებლო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს.

ზემოთ მოცემული ნორმებიდან გამომდინარე, საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ №140 დადგენილების 46-ე მუხლის პირველ პუნქტის „ა" ქვეპუნქტი IV კლასის შენობა-ნაგებობათა მშენებლობის ნებართვის გასაცემად აუცილებელ საპროექტო დოკუმენტაციასთან მიმართებით აწესებს იმგვარ სპეციალურ რეგულაციას, როგორიცაა სათანადო საექსპერტო შეფასების განხორციელების აუცილებლობა. აღნიშნულის გათვალისწინებითა და ამავე დადგენილების მე-60 მუხლის „ზ" პუნქტის ერთობლივი ანალიზის საფუძველზე, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ სათანადო საექსპერტო დასკვნაში, რომელიც სხვა საექსპერტო დასკვნებისგან განსხვავებით, IV კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების მშენებლობის ნებართვის გაცემის სამართლებრივი საფუძველია, იგულისხმება №140 დადგენილების 46-ე მუხლის პირველ პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სათანადო საექსპერტო შეფასება, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს პროექტის კონსტრუქციული ნაწილისა და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ექსპერტიზას.

სამართლებრივი ნორმის ზემოხსენებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილია საქართველოს ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის გ. ჭოხონელიძის საექსპერტო დასკვნა, რომლითაც შეფასებულია ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი II ჩიხი, №1 და №3-ში ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია. აღნიშნული საექსპერტო შეფასებით დგინდება, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ამასთან, წარდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და იგი შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

საქმის მასალებში ასევე წარმოდგენილია შპს „დიდგორი-2011“-ის საექსპერტო დასკვნა ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, II ჩიხი, №1 და №3, 01.14.08.005.042 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე, რომლის თანახმად, პროექტს მიეცა დადებითი შეფასება ორივე საცხოვრებელი ბლოკისათვის და რეკომენდაცია გაეწია მშენებლობის ნებართვის მისაღებად და განსახორციელებლად.

ამდენად, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული საექსპერტო დასკვნები, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, წარმოადგენს სწორედ იმ აუცილებელ დოკუმენტებს, რომელიც გათვალისწინებულია №140 დადგენილებით IV კლასის შენობა-ნაგებობათა მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო, საქმეში არსებული მასალების სრულყოფილად შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 22 მაისის №3973599 ბრძანება მიღებულია №140 დადგენილების საფუძველზე და მისი მოთხოვნების შესაბამისად, რის გამოც არ არსებობს მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

რაც შეეხება არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 28 დეკემბრის №4323317 ბრძანების ბათილად ცნობის საკითხს, საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო მიუთითებს №140 დადგენილების 51-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებაზე, რომლის მიხედვით, „დამკვეთი უფლებამოსილია მშენებლობის ნებართვის მისაღებად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ზოგადი პროცედურისაგან განსხვავებით აირჩიოს ორსტადიანი ადმინისტრაციული წარმოება“. ხოლო აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „დამკვეთი ან მისი წარმომადგენელი უფლებამოსილია მშენებლობის ნებართვის გამცემ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგინოს მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო ყველა დოკუმენტი ერთად. ამ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო აწარმოებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სტადიების ადმინისტრაციულ პროცედურებს და გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.“

განსახილველ შემთხვევაში, არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 28 დეკემბრის №4323317 ბრძანებით ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, II ჩიხი, №5, (ნაკვეთი №5/40), 01.14.08.005.040 და ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, II ჩიხი, №1 და №3, (ნაკვეთი №5/42), 01.14.08.005.042 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. შესაბამისად, საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ასკვნის, რომ სადავო ბრძანება წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის გაცემის გამარტივებული წარმოების ფარგლებში გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ,,ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.“ ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ,,ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით.“

ზემოხსენებული სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ არქიტექტურულ პროექტში ცვლილების შეტანის უფლებამოსილება გააჩნია არქიტექტურის სამსახურს, რომელიც ხსენებულ ცვლილებას ახორციელებს იმავე სახის სამართლებრივი პროცედურების დაცვით, რომლებიც კანონმდებლობით არქიტექტურული პროექტის შეთანხმების მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოებისთვის განისაზღვრება.

განსახილველ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 28 დეკემბრის №4323317 ბრძანებით შეთანხმდა ამავე სამსახურის 2014 წლის 29 ივლისის №1411373 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კორექტირება და გაიცა მშენებლობის ნებართვა. შესაბამისად, საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ, ვინაიდან, საჩივრის ავტორის მიერ სადავოდ არის გამხდარი არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 28 დეკემბრის №4323317 ბრძანება, წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში ზემოხსენებული აქტის კანონიერების შესწავლა უნდა განხორციელდეს არა ამავე სამსახურის 2014 წლის 29 ივლისის №1411373 ბრძანებასთან ერთად, არამედ დამოუკიდებლად და მხოლოდ იმ ცვლილებების ჭრილში, რაც ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი II ჩიხი, №5, (ნაკვეთი №5/40), 01.14.08.005.040 და ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი II ჩიხი, №1 და №3, (ნაკვეთი №5/42), 01.14.08.005.042 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურულ პროექტში სადავო ბრძანებით იქნა შეტანილი.

როგორც ფაქტობრივ გარემოებათა შორის აღინიშნა, საქმის მასალებში წარმოდგენილი, არქიტექტურის სამსახურის III და IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის 2019 წლის 2 ოქტომბრის წერილობითი განმარტების თანახმად, რომ არქიტექტურის

სამსახურის 2018 წლის 28 დეკემბრის №4323317 ბრძანებით ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი II ჩიხი, №5, (ნაკვეთი №5/40), 01.14.08.005.040 და ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი II ჩიხი, №1 და №3, (ნაკვეთი №5/42), 01.14.08.005.042 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის კორექტირება მოიცავდა საპროექტო ობიექტის ორივე ბლოკს. კერძოდ, პირველ ბლოკს დაემატა ერთი სართული: +33.00 ნიშნულზე დაპროექტებული გათბობისა და ცხელი წყლის საქვაბემ გადაინაცვლა +36.30 ნიშნულზე, ხოლო +33.00 ნიშნულზე მოეწყო 2.20 მეტრი სიმაღლის არასრული სართული; მეორე ბლოკს დაემატა ერთი სართული: +16.50 ნიშნულზე ერთი ბინის ნაცვლად მოეწყო 3 ბინა და +19.80 ნიშნულზე ტერასის ნაცვლად მოეწყო ერთი ბინა, ხოლო ტერასამ გადაინაცვლა +23.10 ნიშნულზე.

საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო მიუთითებს №14-39 დადგენილების მე-40 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, „იმ ობიექტებზე, რომლებზეც განაშენიანების რეგულირების წესების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის/წერილობითი დასტურის გაცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოება ან/და გაცემულია მშენებლობის ნებართვა/წერილობითი დასტური, ან დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, ვრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი რეგულირება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინამდებარე წესები უფრო ხელსაყრელ პირობებს ითვალისწინებს და მის გამოყენებაზე მოთხოვნას აყენებს განმცხადებელი“.

როგორც ფაქტობრივ გარემოებათა შორის აღინიშნა, არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 28 დეკემბრის №4323317 ბრძანება გამოიცა ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 21 დეკემბრის №კოლ-1/243 ბრძანებით ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი II ჩიხი, №1 და №3 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველზე. ამდენად, საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო №14-39 დადგენილების მე-40 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე მითითებით განმარტავს, რომ, ვინაიდან, ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 21 დეკემბრის №კოლ-1/243 ბრძანების გამოცემის დროისათვის ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ქალაქთმშენებლობის სპეციფიკური სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდებოდა ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებით“ (შემდგომში - „№8-13 გადაწყვეტილება“), სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების საკითხი სწორედ №8-13 გადაწყვეტილებასთან მიმართებით უნდა დადგინდეს.

ადმინისტრაციული ორგანო ყურადღებას ამახვილებს №8-13 გადაწყვეტილების 23-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, „საცხოვრებელი ზონების მიწის ნაკვეთებისა და სხვა უძრავი ობიექტების სამშენებლო განვითარებისას

გათვალისწინებული უნდა იქნას სატრანსპორტო საშუალებების შენახვის უზრუნველყოფა შემდეგი პირობით: მინიმუმ ერთი მანქანა/ადგილი ერთ საცხოვრებელ ერთეულზე.“

ზემოაღნიშნული ნორმის სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ №8-13 გადაწყვეტილების 23-ე მუხლის პირველი პუნქტის დანაწესი, რომლის თანახმად, უძრავი ობიექტების სამშენებლო განვითარებისას ერთ საცხოვრებელი ერთეულზე, გათვალისწინებულ უნდა იქნას მინიმუმ ერთი სატრანსპორტო საშუალებების შენახვის უზრუნველყოფა, სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენდა, არქიტექტურული პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ გურამ გურამიშვილის 2018 წლის 12 ოქტომბრის №AR1633597 განცხადების განხილვის მიზნით, განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში. ამდენად, იპეთ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული განცხადებით მოთხოვნილი და არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 28 დეკემბრის №4323317 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტი ითვალისწინებდა საპროექტო ობიექტზე არსებული საცხოვრებელი ერთეულების რაოდენობის ზრდას, თითოეულ დამატებით საცხოვრებელ ერთეულზე არქიტექტურულ პროექტში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო დამატებით მინიმუმ ერთი ავტოსადგომი.

როგორც უკვე აღინიშნა, განსახილველ შემთხვევაში, არქიტექტურის სამსახურის III და IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის 2019 წლის 2 ოქტომბრის წერილობითი განმარტებაში სრულყოფილად არის მოცემული ის ცვლილებები, რაც ამავე სამსახურის 2014 წლის 29 ივლისის №1411373 ბრძანებით შეთანხმებულმა კორექტირებულმა არქიტექტურულმა პროექტმა სადავო ბრძანებით განიცადა, ხოლო აღნიშნული განმარტების ანალიზის შედეგად, საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო დადგენილად მიიჩნევს, რომ არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 28 დეკემბრის №4323317 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტი ითვალისწინებდა საპროექტო ობიექტზე არსებული საცხოვრებელი ერთეულების რიცხვის ზრდას, თუმცა, ცვლილება არ შეხებია საპროექტო ობიექტზე არსებული ავტოსადგომების რაოდენობას. შესაბამისად, თითოეულ დამატებით საცხოვრებელ ერთეულზე კორექტირებული არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული არ ყოფილა დამატებით მინიმუმ ერთი ავტოსადგომი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს“. ამავე კოდექსის 96-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება

მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ".

როგორც უკვე აღინიშნა, განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად, საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო დადგენილად მიიჩნევს, რომ არქიტექტურის სამსახურის მიერ 2018 წლის 28 დეკემბრის №4323317 ბრძანებით ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, II ჩიხი №5, (ნაკვეთი №5/40), 01.14.08.005.040 და ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, II ჩიხი №1 და №3, (ნაკვეთი №5/42), 01.14.08.005.042 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ისე განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა, რომ სათანადო სამართლებრივი შეფასება არ მისცემია, თუ რამდენად აკმაყოფილებდა ზემოაღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტი სამშენებლო ობიექტზე ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობის შესახებ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, იმ პირობებში, როდესაც სადავო ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტი ითვალისწინებდა საპროექტო ობიექტზე არსებული საცხოვრებელი ერთეულების რიცხვის ზრდას, თითოეულ დამატებით საცხოვრებელ ერთეულზე კორექტირებული არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული არ ყოფილა დამატებით მინიმუმ ერთი ავტოსადგომი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^1 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ,,ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის შედეგად, ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 28 დეკემბრის №4323317 ბრძანება გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასებისა და გამოკვლევის გარეშე. კერძოდ, არქიტექტურული პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ სათანადო სამართლებრივი შეფასება არ მისცემია, თუ რამდენად აკმაყოფილებდა ზემოაღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტი სამშენებლო ობიექტზე ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობის შესახებ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, არსებობს არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 28 დეკემბრის №4323317 ბრძანების ბათილად ცნობისა და უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების სამართლებრივი საფუძველი.

რაც შეეხება არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 22 მაისის №3973599 ბრძანებას, იგი გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, აკმაყოფილებს ფორმალური

და მატერიალური კანონიერების მოთხოვნებს და არ არსებობს მისი გათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის I, IV, VI, XIII თავების, 60[1] მუხლის, 201-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისას და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილებისა და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" მოთხოვნათა შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ბრძანებს:

1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს ნათია წელაურის, ივანე აბრამიძის, კოკა კალანდაძის, ლევან კომახიძის და სხვების 2019 წლის 17 ოქტომბრის №19/01192902971-01 ადმინისტრაციული საჩივარი.
2. ბათილად იქნას ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 28 დეკემბრის №4323317 ბრძანება.
3. ძალაში დარჩეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 22 მაისის №3973599 ბრძანება.
4. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
5. ბრძანების ასლები გადაეგზავნოთ დაინტერესებულ მხარეებს.
6. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება დაინტერესებული პირის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე